ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 თებერვლის ბიუროს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 19 თებერვლის მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №3

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15 19 თებერვალი 2024 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - დავით კიკნაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

პაატა გოგოლაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ამირან ოქრომჭედლიძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ,

პავლე კიკალიშვილი საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ბესიკი კვირიკაშვილი - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარი ლურსმანაშვილი იურიდიული,სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

მარინე ხვედელიძე- საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

შმაგი ხიჯაკაძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ლურსმანაშვილი ფრაქცია ,, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე,

ირმა ვეფხვაძე - ფრაქცია ,, ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარე.

სათათბირო ხმის უფლებით: უშანგი ბერაძე, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, ნონა ზურაბიანი,

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი მერის პირველი მოადგილე

კახაბერ გოლუბიანი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

პეტრე შარიქაძე- მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.

ზურაბი ბანცაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ა.ნიქაბაძე ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი,

თ. მაღრაძე ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი,

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნ. თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ი. ჭიპაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დავით კიკნაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი .

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ანგარიში კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2024 წლის 04 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2024 წლის 04 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ანგარიში სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2024 წლის 04 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2024 წლის 04 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ანგარიში სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

შ. ხიჯაკაძემ, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ რთული მდგომარეობაა ვარძიის ადმინისტრაციულ ერთეულში, მეწყრული მოვლენები ვითარდება და ის ადგილები, რომლებიც დროებით იქნა შეკეთებული ისევ დაზიანდა, ფაქტიურად ზოგი ადგილი ისეა, რომ ფეხით გასვლაც ჭირს,

მან ასევე დასვა შეკითხვა სამოქალაქო პროექტებთან დაკავშირებით, რაზედაც პ. შარიქაძემ უპასუხა, რომ პროექტები მიღებულია, ველოდებით ამინდებს,

პ. კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ იგორეთში მოწყდა 4 ოჯახი, ასევე საფრთხეშია10 ოჯახი.

ა. ოქრომჭედლიძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად ცუდი მდგომარეობაა საქარიქედზე და მდინარაძეების უბანში,

შ. ლურსმანაშვილმა ფრაქცია ,, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაბაში, პატარა ხარაგაულში თაბუკაშვილის და ჭიპაშვილის ქუჩაზე ფაქტიურად სანიაღვრე არხი აღარ არის,

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ, მეწყრულ პროცესებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ბაზის კვლევა დაახლოებით 20 000 ლარია საჭირო, ველოდებით გეოლოგების ჯგუფს, რომლებიც შეისწავლიან დაზიანებულ უბნებს და მივიღებთ რეკომენდაციებს, უნდა შემოვიდეს მოქალაქეების მხრიდანაც ინდივიდუალური განცხადებები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2024 წლის 04 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2024 წლის 04 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2024 წლის 04 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის

წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 მარტის მორიგი

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დავით კიკნაძე